

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2019

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	i-iv
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	8
ზოგადი ინფორმაცია	9
მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები	13
შემოსავლები და ხარჯები.....	14
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
მოგების გადასახადის ხარჯი.....	15
ძირითადი საშუალებები.....	16
საინვესტიციო ქონება	17
არამატერიალური აქტივები.....	18
მარაგები	18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
ფული და ფულის ექვივალენტები.....	19
საწესდებო კაპიტალი.....	20
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	20
პირობითი ვალდებულებები	20
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ის“ მფლობელებს და მენეჯმენტს.

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ს“ (შემდგომში „კომპანია“) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავაკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 1,964,091 ლარის და 1,077,178 ლარი ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2019 წლის 31 დეკემბრით არსებულ და შესადრის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის კომპანია არ აწარმოებდა წარმოებული სამუშაოების თვითღირებულებების აღრიცხვას ცალკეული პროექტების მიხედვით. ნაცვლად ამისა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები აღირიცხებოდა ერთიანი ხარჯის ანგარიშზე, რომლიდანაც ხდებოდა მათი გადანაწილება პროექტების ღირებულების პროპორციულად, რის გამოც ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენად შესაბამისობაში იყო მიკუთვნებული ხარჯები პროექტის ბუნებასთან და რამდენად სარწმუნოდ ხდებოდა მათი აღრიცხვა უკვე გაწეულ და პროექტის დასრულებამდე გასაწევ ხარჯებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ რამდენად საჭირო იყო რაიმე კორექტირება კომპანიის ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მათ წარმოდგენასთან მიმართებაში. აგრეთვე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2019 წლის მმართველობით ანგარიშს. სავარაუდოდ, 2019 წლის მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით 2019 წლის მმართველობით ანგარიშს, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება ამ საკითხის ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ასევე ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

3 აგვისტო 2020

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

3 აგვისტო 2020

RSM Georgia



შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	24,616,071	19,600,290
გაწეული სამუშაოს და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(19,237,862)	(16,381,811)
საერთო მოგება		5,378,209	3,218,479
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,929,619)	(2,517,594)
საპროცენტო ხარჯი		(159,012)	-
ცვლილება რეზერვებში	11	86,867	(678,541)
შემოსავალი იჯარიდან		73,356	60,111
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(99,281)	(36,992)
მოგება დაბეგვრამდე		2,350,520	45,533
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(62,415)	(41,849)
წლის მოგება		2,288,105	3,684
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,288,105	3,684

გენერალური დირექტორი შოთა აბულაძე _____

მთავარი ბუღალტერი ზურა სამხარაძე _____

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	24,616,071	19,600,290
განული სამუშაოს და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(19,237,862)	(16,381,811)
საერთო მოგება		5,378,209	3,218,479
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,929,619)	(2,517,594)
საპროცენტო ხარჯი		(159,012)	-
ცვლილება რეზერვებში	11	86,867	(678,541)
შემოსავალი იჯარიდან		73,356	60,111
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(99,281)	(36,992)
მოგება დაბეგვრამდე		2,350,520	45,533
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(62,415)	(41,849)
წლის მოგება		2,288,105	3,684
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,288,105	3,684

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე



შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	4,360,478	4,445,136
საინვესტიციო ქონება	8	214,457	224,200
არამატერიალური აქტივები	9	62,779	73,858
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,637,714	4,743,194
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	1,964,091	1,077,178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,116,840	941,268
ფული და ფულის ექვივალენტები	12	2,483,632	3,045,584
სხვა აქტივები		9,704	13,150
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,574,267	5,077,180
სულ აქტივები		11,211,981	9,820,374
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,070,349	1,070,349
გაუნაწილებელი მოგება		7,450,549	6,307,713
სულ კაპიტალი		8,520,898	7,378,062
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,218,314	2,008,433
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	15	472,769	433,879
სულ ვალდებულებები		2,691,083	2,442,312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,211,981	9,820,374

გენერალური დირექტორი შოთა აბულაძე _____
 მთავარი ბუღალტერი ზურა სამხარაძე _____

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის		1,070,349	7,047,611	8,117,960
წლის მოგება			3,684	3,684
გაცემული დივიდენდი	13		(743,582)	(743,582)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		1,070,349	6,307,713	7,378,062
წლის მოგება	13	-	2,288,104	2,288,104
გაცემული დივიდენდი		-	(1,145,268)	(1,145,268)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		1,070,349	7,450,549	8,520,898

გენერალური დირექტორი შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი ზურა სამხარაძე

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის


	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის		1,070,349	7,047,611	8,117,960
წლის მოგება			3,684	3,684
გაცემული დივიდენდი	13		(743,582)	(743,582)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		1,070,349	6,307,713	7,378,062
წლის მოგება	13	-	2,288,104	2,288,104
გაცემული დივიდენდი		-	(1,145,268)	(1,145,268)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		1,070,349	7,450,549	8,520,898

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

გენერალური დირექტორი შოთა აბულაძე _____

მთავარი ბუღალტერი ზურა სამხარაძე _____

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		2,350,519	45,533
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	718,522	950,156
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	7	-	(1,826)
არამატერიალური აქტივის გასვლა	8	-	46,634
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	7	70,779	-
უიმედო ვალების რეზერვის ცვლილება	11	(86,867)	678,541
საპროცენტი შემოსავალი	12	(19,100)	(4,094)
საპროცენტო ხარჯი		159,012	-
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	11	(1,088,705)	(274,854)
მარაგების შემცირება ზრდა	10	(886,912)	(270,176)
სხვა აქტივების შემცირება		3,445	967
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა	15	38,890	55,134
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	14	209,881	1,744,363
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		1,469,464	2,970,378
მიღებული პროცენტი	12	19,100	4,094
გადახდილი პროცენტი		(159,012)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	6	(52,818)	(24,000)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		1,276,734	2,950,472
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	7	(693,418)	(437,530)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	7	-	14,271
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(693,418)	(423,259)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	13	(1,145,268)	(743,582)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,145,268)	(743,582)
ფულისა და ფულის ექვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(561,952)	1,783,631
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	3,045,584	1,261,953
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	2,483,632	3,045,584

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე



შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია „№1 საგზაო-სამშენებლო სამმართველო“ დაფუძნდა 1959 წელს. 1998 წლის 8 მაისს განხორციელდა აღნიშნული ორგანიზაციის პრივატიზაცია და დღეის მდგომარეობით მას ეწოდება შპს „საგზაო-სამშენებლო სამმართველო N1“. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენენ საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მათ შორის: გზების, ხიდების, ნაპირგამაგრებითი ნაგებობების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია, გზების პერიოდული რემონტი და შენახვა. ძირითადი დამკვეთი არის სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ. კომპანიის 50%-იან წილს ფლობს შოთა აბულაძე, ხოლო ნუგზარ და ნუკრი აბალაძეები 25-25%-ს.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი-ის“) საფუძველზე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებისთვის როდესაც შედეგი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, შემოსავლები და ხარჯები აღიარდება შემოსავლების საკონტრაქტო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდით.

საკონტრაქტო შემოსავალი მოიცავს კლიენტთან შეთანხმებულ კონტრაქტის ღირებულებას, მათ შორის კონტრაქტის ცვლილებებს და მის შედეგებს, თუ მისი შეფასება შესაძლებელია საიმედოდ (ჯარიმები/პრეტენზიები როგორც კლიენტის ასევე კომპანიის მხრიდან).

კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე პროპორცია განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები საიმედოდ შეფასდება. მხარეები ყოველი თვის ბოლოს აფორმებენ მიღება ჩაბარების აქტს შესრულებულ სამუშაოების შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომპანიის შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი, ხოლო საანგარიშგებო

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

პერიოდის ბოლოს, მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არ არის შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ექვივალენტი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც საკონტრაქტო ამონაგები, კომპანია მიუღებელ თანხას აღიარებს, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც საკონტრაქტო ამონაგების კორექტირებად.

კომპანია დამკვეთის მიერ დაკავებულ თანხებს აღრიცხავს როგორც მოთხოვნებს დასახელებით - „დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები“, ხოლო სხვა სახის მისაღებ თანხებს რომელიც კომპანიას აქვს მისაღები შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე - საკონტრაქტო მოთხოვნა“.

დამკვეთების მიერ შესრულებულ სამუშაოზე წინასწარ გადახდილ თანხებს კომპანია აღრიცხავს როგორც ვალდებულებას კონტრაქტებიდან ან როგორც მიღებულ ავანსს.

(ბ) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

(გ) შემოსავალი იჯარებიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

(დ) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

საოპერაციო იჯარები

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარესთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგება-ზარალის ნაწილში.

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.86	3.20
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება 31 დღეს მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას, მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე

ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებას შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 20%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შემენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება ზარალის ანგარიშის სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მარაგები

მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ექვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3 მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

4 შემოსავლი და გაწეული სამუშაოს და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	23,564,799	18,345,147
შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან	1,051,272	1,255,143
სულ შემოსავალი	24,616,071	19,600,290
სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები*	(18,787,915)	(15,404,488)
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	(449,947)	(977,323)
სულ დაკავშირებული ხარჯები	(19,237,862)	(16,381,811)
საერთო მოგება	5,378,209	3,218,479

შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება და დადასტურდება მიღება ჩაბარების აქტით კომპანიასა და კლიენტს (შემდგომში - „მხარეები“) შორის. ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება, იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა, რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი, რომელიც წარმოდგენილია საკონტრაქტო აქტივის ან ვალდებულების სახით.

*სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები

	2019	2018
გამოყენებული მასალები	9,607,337	7,584,456
თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება	3,435,631	2,796,826
კონტრაქტორებისგან შესყიდული სერვისები	3,258,163	2,327,235
იჯარა და კომუნალური ხარჯები	858,037	743,678
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	760,649	934,638
ცვეთის ხარჯი	690,289	868,218
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	115,965	149,437
სხვა პირდაპირი ხარჯები	61,844	-
სულ	18,787,915	15,404,488

ინფორმაცია მისაღები და წინასწარ მიღებული თანხების შესახებ იხილეთ მე- 11 და მე-14 განმარტებით შენიშვნებში შესაბამისად.

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	2,232,071	2,047,006
შეკეთებისა და მოვლის ხარჯები, არაპირდაპირი	439,908	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	11,025	40,888
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	31,371	33,350
ცვეთა და ამორტიზაცია	28,233	17,078
კომუნალური გადასახადები	16,985	8,831
ქონების დაზღვევის ხარჯი	12,984	35,296
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	157,042	335,145
სულ	2,929,619	2,517,594

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

6 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯმა 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 62,415 ლარი (2018: 41,849 ლარი), ხოლო მთლიანად განაწილებული დივიდენდების თანხამ - 1,145,268 ლარი (2018: 743,582 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

7 ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	275,940	243,410	1,901,008	62,772	7,046,235	9,529,365
შეძენა		10,269	50,490	5,069	378,601	444,430
ჩამოწერა	(5,000)				(66,800)	(71,800)
2018 წლის 31 დეკემბერი	270,940	253,679	1,951,498	67,841	7,358,036	9,901,995
შეძენა	-	-	133,828	10,109	549,480	693,418
ჩამოწერა	-	-	-	-	(88,249)	(88,249)
2019 წლის 31 დეკემბერი	270,940	253,679	2,085,326	77,950	7,819,267	10,507,163
აკუმულირებული ცვეთა						
2018 წლის 1 იანვარი		(66,349)	(1,068,518)	(29,759)	(3,435,870)	(4,600,496)
ცვეთა		(10,771)	(144,836)	(6,671)	(746,536)	(908,815)
ჩამოწრილი ძირითადი საშუალებების ცვეთა		-	-	-	52,452	52,452
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(77,120)	(1,213,354)	(36,431)	(4,129,954)	(5,456,859)
ცვეთა	-	(9,832)	(62,691)	(7,175)	(627,598)	(707,296)
ჩამოწრილი ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	17,470	17,470
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(86,952)	(1,276,044)	(43,606)	(4,740,082)	(6,146,685)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	275,940	177,061	832,490	33,013	3,610,365	4,928,869
2018 წლის 31 დეკემბერი	270,940	176,559	738,145	31,410	3,228,082	4,445,136
2019 წლის 31 დეკემბერი	270,940	166,727	809,282	34,344	3,079,185	4,360,478

2019 წლის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა მოძრავი ძირითადი საშუალება დაგირავებულია სატენდერო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. 2019 წლის ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯიდან 690,289 ლარი მიეკუთვნა პროექტების

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

თვითღირებულებას. კომპანიის ბალანსზე არ ფიქსირდება სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები. მანქანა დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების გაქირავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 53,357 ლარი.

8 საინვესტიციო ქონება

თვითღირებულება	საინვესტიციო ქონება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	273,274	273,274
შემენა	-	-
გასვლა/გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	273,274	273,274
შემენა	1,482	1,482
გასვლა/გაყიდვა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	274,756	274,756
აკუმულირებული ცვეთა	-	-
2018 წლის 1 იანვარი	(36,784)	(36,784)
ცვეთა	(12,290)	(12,290)
2018 წლის 31 დეკემბერი	(49,074)	(49,074)
ცვეთა	(11,225)	(11,225)
2019 წლის 31 დეკემბერი	(60,299)	(60,299)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 1 იანვარი	236,490	236,490
2018 წლის 31 დეკემბერი	224,200	224,200
2019 წლის 31 დეკემბერი	214,457	214,457

შენობა განლაგებულია შემდეგ მისამართზე: ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი (სავაჭრო ცენტრი) მე-2 კმ.შენობის მთლიანი ფართი შეადგენს 727 მ2-ს, საიდანაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაქირავებული იყო 395მ². 2019 წელს აღნიშნული ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 19,999 ლარი .

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

9 არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზია	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	229,172	3,355	232,527
შეძენა 2018			
გასვლა/გაყიდვა 2018	(77,758)	-	(77,758)
2018 წლის 31 დეკემბერი	151,414	3,355	154,769
შეძენა 2019	-	-	-
გასვლა/გაყიდვა 2019	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	151,414	3,355	154,769

აკუმულირებული ამორტიზაცია			
2018 წლის 1 იანვარი	(81,316)	(1,673)	(82,989)
ამორტიზაცია 2018	(28,287)	(761)	(29,048)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ამორტიზაცია 2018	31,126	-	31,126
2018 წლის 31 დეკემბერი	(78,477)	(2,434)	(80,911)
ამორტიზაცია 2019	(11,079)	-	(11,079)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ამორტიზაცია 2019	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	(89,556)	(2,434)	(91,990)

წმინდა საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	147,856	1,682	149,538
2018 წლის 31 დეკემბერი	72,937	921	73,858
2019 წლის 31 დეკემბერი	61,858	921	62,779

10 მარაგები

	31.12.2019	31.12.2018
ნედლეული	564,825	113,140
დაუმთავრებელი წარმოება	879,435	594,030
მზა პროდუქცია	356,340	230,816
საწვავი და საპოხი მასალები	110,827	75,517
სხვა მარაგები	52,664	63,675
სულ მარაგები	1,964,091	1,077,178

2019 წლის განმავლობაში მარაგები ძირითადი მასალების სახით 10,051,272 ლარის თვითღირებულებით, (2018: 8,839,599 ლარი) აღიარდა გაწეული სამუშაოების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულებაში (იხილეთ შენიშვნა 4).

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
*სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	1,087,650	993,800
მოთხოვნები სამშენებლო კონტრაქტებიდან	1,220,432	928,485
**დამკვეთისაგან მისაღები დაკავებული თანხები	312,782	94,512
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	77,725	-
სავაჭრო მოთხოვნები რეზერვებამდე	2,698,589	2,016,797
მოთხოვნების რეზერვი	(1,160,869)	(1,247,736)
სავაჭრო მოთხოვნები რეზერვების შემდგომ	1,537,720	769,061
გადახდილი ავანსები	579,120	172,207
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,116,840	941,268

*სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მასალების რეალიზაციით დარიცხულ მოთხოვნებს, საიჯარო მომსახურების გაწევისა და სხვა მოთხოვნებს.

**დამკვეთებისაგან მისაღებ თანხები მოიცავს თანხებს, რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

ცვლილება რეზერვებში

01.01.2018	569,195
უიმედო ვალის ხარჯი	678,541
31.12.2018	1,247,736
რეზერვის შემცირება	(86,867)
31.12.2019	1,160,869

12 ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში	94,192	102,996
ფული ლარში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1,347,601	973,447
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	711	217
საბანკო დეპოზიტები	1,041,128	1,968,924
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,483,632	3,045,584

საბანკო დეპოზიტი განთავსებულია „სს ბაზის ბანკში“ ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 19,100 ლარი (2018: 4,094 ლარი). საბანკო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 2.75%-ით და ერიცხება პროცენტი დღის ბოლოს ასებულ ნაშთზე ყოველდღიურად.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,070,349 ლარით, რომელიც შეესაბამება მფლობელთა შენატანებით კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 1,145,268 ლარი (2018: 743,582).

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	881,131	522,735
მიღებული ავანსი კონტრაქტის ფარგლებში	984,033	1,447,090
გადასახდელი ხელფასები	314,540	-
სხვა ავანსები	38,610	38,608
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,218,314	2,008,433

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი შედგება შესყიდულ მასალებზე მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხებისაგან, საოპერაციო იჯარების დავალიანებებისგან და სხვა გადასახდელებისგან.

15 სხვა საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი დღგ	404,927	392,275
გადასახდელი საბაჟო დღგ	7,374	7,374
სხვა	60,468	34,230
სულ სხვა საგადასახადო ვალდებულებები	472,769	433,879

16 პირობითი ვალდებულებები

საბანკო გარანტიები

სატენდერო და მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტებისგან წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 5,930,366 ლარს, (2017: 6,006,052 ლარი).

საბანკო გარანტიები აღებულია 2014 წლის 18 ნოემბერს სს „ბაზის ბანკთან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე და უზრუნველყოფილია კომპანიის მოძრავი ძირითადი საშუალებების მთლიანი ოდენობით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

17 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის 50%-იან წილს ფლობს შოთა აბულაძე, ხოლო ნუგზარ და ნუკრი აბალაძეები 25-25%-ს.

	2019	2018
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		
შემოსავალი იჯარიდან	69,994	57,469
მასალების შესყიდვის და იჯარის ხარჯი	333,470	933,527
ნაშთებუ დაკავშირებულ მხარეებთან	31.12.2019	31.12.2018
საიჯარო მოთხოვნა	604,180	534,187
მომსახურებიდან ვალდებულება	602,757	597,457

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2019 წელს შეადგინა 512,500 ლარი (2018: 472,500 ლარი).

18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2020 წლის იანვარში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი დამფუძნებლებზე 60,000 ლარის ოდენობით.

გვსურს თქვენი ყურადღება მივმართოთ მიმდინარე კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკური აქტივობის შენელებასა და მის პოტენციურ ეფექტებზე კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია ლოჯისტიკური ჯაჭვებისა და როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთანავე ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკის განუზღვრელობის და მისი არიდების/შემცირების ტენდენციები. პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგილობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები ორგანიზაციისათვის. მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე კომპანიას არ შეეძენია ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.